სოციალური მუშაკის როლი აბორტის წინა კონსულტირებაში

თიკო ცხოვრებაძე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: რუსუდან ასათიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თიკო ცხოვრებაძე

09.06.2024

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ რუსუდან ასათიანს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სოციალური მუშაკების

და ფსიქოლოგების როლისა და ფუნქციების შესწავლას აბორტის წინა კონსულტირებაში. ნაშრომში განხილულია თუ რა დაბრკოლებები აქვთ კლინიკებს და რა სირთულეების წინაშე დგებიან ახალი გამოსვლის შემდეგ, რომლის მიხედვითაც აბორტის მომსახურების მიღებამდე 5 დღიან მოცდის პერიოდთან ერთად პაციენტმა უნდა გაიაროს კონსულტაცია ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან და მეან-გინეკოლოგთან ერთად. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რაც თავისთავად გულისხმობს სიღრმისეულ ინტერვიუს სოციალურ მუშაკებთან და კლინიკის წარმომადგენლებთან. თუმცა, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა მხოლოდ რამდენიმე სოციალურ მუშაკთან კლინიკებისა და სოციალური მუშაკების უარის გამო ინტერვიუს ჩატარებასა და ინფორმაციის გაზიარებაზე.

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სოციალურ მუშაკებს არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა იმისათვის, რომ სრულყოფილად შეასრულონ კლინიკის სოციალური მუშაკის როლი და ფუნქცია აბორტის წინა კონსულტირების პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სოციალური მუშაკებისათვის პრობლემას წარმოადგენს სამუშაო აღწერილობის არარსებობა, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებდა თითოეული კლინიკის სოციალური მუშაკი კონსულტირების ჩატარებისას. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სახელმწიფოს აღნიშნული ბრძანების აღსრულება ჯეროვნად ვერ ხორციელდება და პროცესი არის მხოლოდ ფორმალური, რადგან კლინიკების სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები არასაკმარისი ინსტრუქციებისა და გამოცდილების გამო სათანადოდ ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს და მათი მუშაობის პროცესი და ხარისხი მხოლოდ ფორმალურია მათივე განმარტებით.

კლინიკებში, სადაც ხდება ქალებისთვის აბორტის მომსახურების გაწევა, პრაქტიკულად არ არსებობს შესაბამისი პროფესიონალი კადრი ამ მიმართულებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ითავსებს ფსიქოლოგის მოვალეობას, ხოლო ფსიქოლოგი სოციალური მუშაკის როლსა და

მოვალეობას, ამას კი რა საკვირველია მივყავართ არასწორ საქმიანობასა და არასწორ შედეგამდე.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკების აზრით კანონში შეტანილი ცვლილება მისაღები და დროულია, თუმცა საჭიროებს დახვეწასა და საერთაშორისო დონეზე განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ კლინიკების ზოგიერთმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე, რამაც შეზღუდა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების აბორტისწინა კონსულტაციებში ჩართულობისა და მათი მუშაობის ხარისხის შესახებ კლინიკების დამოკიდებულებების კვლევა.

Abstract

The following research refers to the study of the role and functions of social workers and Psychologists in pre-abortion counseling. The problems and the challenges the clinics face after introducing a new rule are being discussed in this work. According to the produced rule, patients are required to consult a psychologists, social worker and obstetrician-gynecologist 5 days prior to getting an abortion service. Qualitative research method has been used which implies mainly in-depth interviews with social workers and clinic representatives. However, only a few interviews have been conducted due to the refusal of many clinicians and social workers to participate in this process.

The results of the study revealed that social workers are not knowledgeable enough and have lack of experience to fully carry out their role in pre-abortion counseling. It is also worth mentioning that there doesn't exist a clear, coherent job description for clinic social workers and it definitely creates certain problems. Thus it becomes hard for them to provide good counseling. According to the study the state rule isn't being followed properly leaving the process mostly formal and hot effective above mentioned difficulties are caused by the lack of experience and sufficient instructions which clinic workers and psychologist should possess, in its turn it leads to poor performance.

In many clinics the staff is not professional enough which do cause a real problem. Thus it often happens so that social workers and psychologists share each others duties and it results in inevitable mistakes and poor results.

Despite the above mentioned challenges social workers participating in this research consider that the change is acceptable and timely on the whole, though it needs to be more elaborated and sophisticated in order to meet international standards.

Several clinic representatives didn't express their willingness to participate in the following research and accordingly it limited the research quality referring to the attitudes of clinics towards the involvement of social workers and psychologists in pre-abortion counseling and the quality of their work.